

## რუსთავში, მტკვარში მოზარდი გარდაცვლილი იპოვეს

რუსთავში, რესტორან „მონოპოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში, მაშველებმა საძიებო სამუშაოები დაასრულეს. მაშველებმა მტკვარში ჩავარდნილი 13 წლის მოზარდის ცხედარი ცოტა ხნის წინ იპოვეს. რამდენიმე საათიანი საძიებო სამუშაოებში მეხანძრე-მაშველები და მყვინთავები იყვნენ ჩართული. წინასწარი ინფორმაციით, მოზარდი მდინარეში ჯებირიდან გადავარდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623119-rustavshi-mtkvarshi-mozardi-gardacvlili-ipoves>

რეგიონი 11.10.2020 / 17:38

ა\* ა

## რუსთავში, მტკვარში მოზარდი გარდაცვლილი იპოვეს



**f** რუსთავში, რესტორან „მონოპოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში, მაშველებმა საძიებო სამუშაოები დაასრულეს.



მაშველებმა მტკვარში ჩავარდნილი 13 წლის მოზარდის ცხედარი ცოტა ხნის წინ იპოვეს.

რამდენიმე საათიანი საძიებო სამუშაოებში მეხანძრე-მაშველები და მყვინთავები იყვნენ ჩართული. წინასწარი ინფორმაციით, მოზარდი მდინარეში ჯებირიდან გადავარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## თელავის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა

ქალაქ თელავში დაგეგმილ წყალმომარაგების მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, სატენდერო წინადადებები 20 ნოემბერს გაიხსნება.

სამინისტროში აცხადებენ, რომ თელავის წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციას აზიის განვითარების ბანკი 8.5 მილიონი დოლარით დააფინანსებს.

მათი განმარტებით, დღეის მდგომარეობით, ქალაქის მოსახლეობის ნაწილს წყალი სტაბილურად მიეწოდება, ნაწილს კი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით. დაგეგმილი პროექტით გათვალისწინებულია წყალმომარაგების ახალი ქსელის, წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარებისა და ჭაბურღილების მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, 30 000-მდე ადგილობრივი სტაბილური წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. აღნიშნული საერთაშორისო ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე, ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მესამე ფაზის I ეტაპის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც, მოეწყობა ჭაბურღილები და გამრიცხველიანდა მოსახლეობის ნაწილი, სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623160-telavimosaxleobis-ucqveti-cqalmomaraagebistvis-saertashoriso-tenderi-gamocxadda>



## თელავის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა



ქალაქ თელავში დაგეგმილ წყალმომარაგების მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, სატენდერო წინადადებები 20 ნოემბერს გაიხსნება.

სამინისტროში აცხადებენ, რომ თელავის წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციას აზიის განვითარების ბანკი 8.5 მილიონი დოლარით დააფინანსებს.

მათი განმარტებით, დღეის მდგომარეობით, ქალაქის მოსახლეობის ნაწილს წყალი სტაბილურად მიეწოდება, ნაწილს კი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით. დაგეგმილი პროექტით გათვალისწინებულია წყალმომარაგების ახალი ქსელის, წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარებისა და ჭაბურღილების მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, 30 000-მდე ადგილობრივი სტაბილური წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. აღნიშნული საერთაშორისო ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე, ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მესამე ფაზის I ეტაპის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც, მოეწყობა ჭაბურღილები და გამრიცხველიანდა მოსახლეობის ნაწილი, სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, გაზაფხულისთვის დასრულდება თელავის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანებისთვის საჭირო დამატებითი სამუშაოები. გარდა ამისა, დაგეგმილია სამუშაოები „ნიშპატიანის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის, სატუმბო სადგურისა და მაგისტრალური წყალდენის პროექტირება-მშენებლობაზე. ამ ეტაპზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა შერჩევა შეფასების პროცედურა მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 24 თვეში უნდა დაასრულოს.

## ბათუმში მოსახლეობის წყალარინების ახალ ქსელზე გადართვა მიმდინარეობს

ბათუმში, ოძელაშვილის ქუჩაზე და გიორგი ბრწყინვალეს ჩიხში წყალარინების ქსელზე მოსახლეობის ინდივიდუალური გადართვა მიმდინარეობს. ამის შესახებ, "ინტერპრესნიუსს" „ბათუმის წყლის“ პრესსამსახურიდან აცნობეს. სამუშაოების ფარგლებში ახალ წყალარინების ქსელზე 35-მდე აბონენტი დაერთდება.

მიმდინარე სამუშაოებს, „ბათუმის წყლის“ გენერალური დირექტორი, მარიკა გვიანიძე გაეცნო.

„სამუშაოები დავასრულეთ სარაჯიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩის პირველ და მეორე შესახვევში. ამჟამად, ვმუშაობთ, გიორგი ბრწყინვალეს ჩიხში და ოძელაშვილის ქუჩაზე. სამუშაოების ფარგლებში ახალ წყალარინების სისტემაზე 35 აბონენტი გადაერთვება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალი წყალარინების სისტემის მოწყობა დიდი კომფორტია“, - განაცხადა გვიანიძემ.

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623325-batumshi-mosaxleobis-cqalarinebis-axal-kselze-gadartva-mimdinareobs>

## ბათუმში მოსახლეობის წყალარინების ახალ ქსელზე გადართვა მიმდინარეობს



ბათუმში, ოძელაშვილის ქუჩაზე და გიორგი ბრწყინვალეს ჩიხში წყალარინების ქსელზე მოსახლეობის ინდივიდუალური გადართვა მიმდინარეობს. ამის შესახებ, "ინტერპრესნიუსს" „ბათუმის წყლის“ პრესსამსახურიდან აცნობეს.

სამუშაოების ფარგლებში ახალ წყალარინების ქსელზე 35-მდე აბონენტი დაერთდება.

მიმდინარე სამუშაოებს, „ბათუმის წყლის“ გენერალური დირექტორი, მარიკა გვიანიძე გაეცნო.

„სამუშაოები დავასრულეთ სარაჯიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩის პირველ და მეორე შესახვევში. ამჟამად, ვმუშაობთ, გიორგი ბრწყინვალეს ჩიხში და ოძელაშვილის ქუჩაზე. სამუშაოების ფარგლებში ახალ წყალარინების სისტემაზე 35 აბონენტი გადაერთვება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალი წყალარინების სისტემის მოწყობა დიდი კომფორტია“, - განაცხადა გვიანიძემ.



## ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება

ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება. ამის შესახებ ინფორმაციას წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ქალაქ ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია, მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო და არსებული ვითარება შეაფასა. მისი თქმით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი პროექტია.

"მიმდინარე პროექტებიდან ვფიქრობთ, რომ ფოთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა მოცულობითა და მასშტაბებით ერთ-ერთი მსხვილი პროექტია საქართველოში. დღეს, ადგილზე გავეცანიტ შესრულებულ სამუშაოებს და მინდა აღვნიშნო, რომ მშენებლობის ტემპი დამაკმაყოფილებელია"- განაცხადა გიგა მანდარიამ.

მათივე ინფორმაციით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, სრულად განახორციელებს ჩამდინარე წყლების წმენდას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შავი ზღვის აუზისა და ეკოლოგიის დაბინძურების რისკებს რეგიონში.

აღნიშნულ პროექტს აზიის განვითარების ბანკი 44 მილიონი ლარით აფინანსებს და მისი დასრულება მომავალი წლის თებერვალშია დაგეგმილი.

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623419-potshi-cqalarinebis-gamcmendi-nagebobis-msheneblobistvis->



## ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება



ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება. ამის შესახებ ინფორმაციას წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ქალაქ ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია, მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო და არსებული ვითარება შეაფასა.

მისი თქმით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი პროექტია.

"მიმდინარე პროექტებიდან ვფიქრობთ, რომ ფოთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა მოცულობითა და მასშტაბებით ერთ-ერთი მსხვილი პროექტია საქართველოში. დღეს, ადგილზე გავეცანიტ შესრულებულ სამუშაოებს და მინდა აღვნიშნო, რომ მშენებლობის ტემპი დამაკმაყოფილებელია"- განაცხადა გიგა მანდარიამ.

მათივე ინფორმაციით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, სრულად განახორციელებს ჩამდინარე წყლების წმენდას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შავი ზღვის აუზისა და ეკოლოგიის დაბინძურების რისკებს რეგიონში.

აღნიშნულ პროექტს აზიის განვითარების ბანკი 44 მილიონი ლარით აფინანსებს და მისი დასრულება მომავალი წლის თებერვალშია დაგეგმილი.